ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3038193

ნომერი: AR1467844

თარიღი : 30.12.2016

გაცემის თარიღი : 17.01.2017

გაცნობის თარიღი : 17.01.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი ჯავახეთის II , N1ა ; ქალაქი თბილისი , შესახვევი ჯავახეთის II , N1ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქორქაშვილი პ/ნ 01017006186
- ალ.ჭავჭავაძის 8/33

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 30/12/2016 წლის №AR1467844 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №328-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანას. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის №90-ე განკარგულებით ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის II შეს. №1ა-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკ. კოდი: №01.19.36.012.032, №01.19.36.012.031) დამტკიცდა მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალება, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №328-ე განკარგულებით დასახელებული მიწის ნაკვეთებისთვის დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

წინამდებარე განცხადებით, მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №328-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №328-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას და აქტში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ აქტის გამომცემ ორგანოს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.